<u>პირველი მიმართულება</u> - ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის

<u>საკონკურსო თემატიკა:</u> - <u>ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის</u>		
№	**არასამთავრობო ორგანიზაცია**	**პროექტის დასახელება**
1	„მედია ცენტრი კახეთი“	„ადგილობრივი მედია საგარეჯოს მოსახლეობის საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისთვის“
2	„კავშირი XXI საუკუნე“	„ჩაერთე არჩევნებში - შექმენი შენი ტრადიცია“
3	ჟურნალისტთა ასოციაცია -საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „მეცენატი“	„შენი არჩევანი - ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირება შუალედური არჩევნებისთვის“
4	რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“	„ინფორმირებული ამომრჩეველი დემოკრატიული არჩევნებისთვის“
5	„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“	„ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“

<u>მეორე მიმართულება</u> - მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში.

<u>საკონკურსო თემატიკა:</u> <u>მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში</u>		
№	**არასამთავრობო ორგანიზაცია**	**პროექტის დასახელება**
1	”ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI”	„მონაწილეობა მნიშვნელოვანია - ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა არჩევნებში“
2	„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია (თგუდა)“	„ჩვენი ქვეყანა-ჩვენი არჩევანი”
3	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის“
4	„საზოგადოებრივი დამცველი“	„პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში ეთნიკური უმცირესობებისის ინფორმირებულობის გაზრდა“
5	„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	„უსინათლოთა საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა“
6	,,სოციალური დაცვის ლიგა“	,, საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში შშმ პირებისა და ეკომიგრანტების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა“
7	„ქალები მომავლისათვის“	„არჩევნები და საზოგადოება“

2015 წლის 21 ივლისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 10 სექტემბერი 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი კომისიის წევრები:

ა) თინათინ ბოლქვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო;
ბ) დავით ღონღაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
გ) ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაცია;
დ) შორენა ღარიბაშვილი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS);
ე) ნინო ჯაფიაშვილი - ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა.

სათათბირო ხმის უფლების მქონე კომისიის წევრები:

ა) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარი (OSCE HCNM);
ბ) ნინო დოლიძე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).

სხდომას არ ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი კომისიის წევრი:
მარიამ ჩიხლაძე - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD).

სხდომას არ ესწრებოდა სათათბირო ხმის უფლების მქონე კომისიის წევრი:
თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI).

საკონკურსო კომისიის სამდივნომ კომისიას გააცნო დღის წესრიგი. კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა შემდეგი სახით:

- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ქვემოთ მოცემულ თემატიკებზე წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება:
  პირველი მიმართულების თემატიკა - ამომრჩეველთა ინფორმირება 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის;
  მეორე მიმართულების თემატიკა - მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში;
- სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 5
წინააღმდეგი – 0

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის არჩევა</u>

კომისიის წევრებმა დავით ღონღაძემ და ანა ფაშალიშვილმა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად დაასახელეს თინათინ ბოლქვაძე. კენჭისყრაზე დადგა თინათინ ბოლქვაძის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 4

წინააღმდეგი – 0

კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატად დასახელებულმა თინათინ ბოლქვაძემ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება თინათინ ბოლქვაძის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარეობას შეუდგა კომისიის თავმჯდომარე თინათინ ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წინაშე დასვა საკითხი, განეხილათ დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხები.

<u>არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება</u>

საკონკურსო კომისიის სამდივნომ საკონკურსო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია კონკურსში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენისა და მისი სრულყოფის შესახებ, მათ შორის, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რომლებმაც არ მოახდინეს მისი სრულყოფა დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ,,ა(ა)იპ - საჯარო პოლიტიკის ცენტრს“ ცესკოს 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ (შემდგომში - წესი) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“, ,,დ“, და ,,ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სრულყოფილად უნდა წარმოედგინა საგრანტო განაცხადის მე-2 და მე-7 ველები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება) და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ მომზადებული ამონაწერი. მან დადგენილ ვადაში წარადგინა მოთხოვნილი საკონკურსო დოკუმენტაცია, თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციას გააჩნია ვალდებულება - საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, რაც წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოადგენს არასრულყოფილად წარდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მიერ არასრულყოფილად წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების საკითხი წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 5
წინააღმდეგი – 0

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ,,ა(ა)იპ - საჯარო პოლიტიკის ცენტრის“ მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების თაობაზე.

ბ) ,,ა(ა)იპ - კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდს სოხუმს“ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ და ,,ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სრულყოფილად უნდა წარმოედგინა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება) და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ მომზადებული ამონაწერი, ხოლო მან დადგენილ ვადაში არ წარადგინა სრულყოფილი საკონკურსო დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მიერ არასრულყოფილად წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების საკითხი გრანტის გაცემის წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 5
წინააღმდეგი – 0

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,,ა(ა)იპ - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი სოხუმის“ მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განუხილველად დატოვების თაობაზე.

<u>პირველი მიმართულების თემატიკაზე</u> არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირის“ მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით კომისიის წევრმა ნინო ჯაფიაშვილმა განაცხადა, რომ პროექტი ძირითადად ორიენტირებულია ამომრჩეველთა განწყობებისა და საარჩევნო პროცესის პრობლემატიკის კვლევაზე და მხოლოდ ირიბად პასუხობს კონკურსის მიმართულებას - ამომრჩეველთა ინფორმირებას 2015 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის. მას, ასევე, დაეთანხმა კომისიის წევრი დავით ღონღაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტი არის კვლევა, რაც არ შეესაბამება გამოცხადებულ თემატიკას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ააიპ - „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირის“ მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 5
წინააღმდეგი – 0

გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ორგანიზაციის საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნის შესახებ.

ამის შემდგომ, კომისიის წევრებმა განიხილეს **<u>პირველი მიმართულების თემატიკაზე</u>** სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასების ფურცლები წარუდგინეს კომისიის სამდივნოს, რომელმაც შეფასების ფურცლების საფუძველზე დაითვალა თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის საკონკურსო დოკუმენტაციის მიერ მიღებული საშუალო შეფასება:

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„მედია ცენტრი კახეთი“	„ადგილობრივი მედია საგარეჯოს მოსახლეობის საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისთვის“	77.20
2	„კავშირი 21-ე საუკუნე“	„ჩაერთე არჩევნებში - შექმენი შენი ტრადიცია“	72.80
3	„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“	„ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“	71.60
4	ჟურნალისტთა ასოციაცია - საზოგადოებრივი განვითარების კავშირი მეცენატი	„შენი არჩევანი - ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირება შუალედური არჩევნებისთვის“	70.00
5	რეგიონული ინიციატივების ცენტრი ნათელი მომავალი	„ინფორმირებული ამომრჩეველი დემოკრატიული არჩევნებისთვის“	70.00
6	„ახალგაზრდა ადვოკატები“	„ყველა ხმა მომგებიანია”	66.60

,,გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დათვლილი საშუალო შეფასების მიხედვით კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები (70 ქულა და მეტი):

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„მედია ცენტრი კახეთი“	„ადგილობრივი მედია საგარეჯოს მოსახლეობის საარჩევნო ინფორმირებისა და განათლებისთვის“	77.20
2	„კავშირი 21-ე საუკუნე“	„ჩაერთე არჩევნებში - შექმენი შენი ტრადიცია“	72.80
3	„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“	„ამომრჩეველთა ინფორმირება მარტვილში“	71.60
4	ჟურნალისტთა ასოციაცია - საზოგადოებრივი განვითარების კავშირი მეცენატი	„შენი არჩევანი - ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირება შუალედური არჩევნებისთვის“	70.00
5	რეგიონული ინიციატივების ცენტრი ნათელი მომავალი	„ინფორმირებული ამომრჩეველი დემოკრატიული არჩევნებისთვის“	70.00

შენიშვნა:

სხდომის თავმჯდომარემ, გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციებიდან გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება განხორციელდეს ამ ორგანიზაციების მიერ შემდეგი მოთხოვნების არაუგვიანეს 2015 წლის 14 სექტემბრისა შესრულების პირობით:

ა) ა(ა)იპ - „მედია ცენტრი კახეთის“ მიერ შესასრულებელი მოთხოვნები:

1. დანართი N1-ის 21-ე ველის 1.1, 1.2, 1.3 და 3.1 ქვეპუნქტებით მოთხოვნილი თანხა შემცირდეს და განისაზღვროს 7 კვირის შესაბამისი ოდენობით;
2. დანართი N1-ის 21-ე ველის 2.3 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ხარჯის ერთეულის ღირებულება დაკორექტირდეს ჯამური თანხისა და ერთეულის რაოდენობის შესაბამისად.

ბ) ა(ა)იპ - „ჟურნალისტთა ასოციაცია - საზოგადოებრივი განვითარების კავშირი მეცენატის“ მიერ შესასრულებელი მოთხოვნები:

დანართი N1-ის 21-ე ველის 2.12, 2.13 და 2.14 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ხარჯის ერთეულის ღირებულება განისაზღვროს არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით.

გ) ა(ა)იპ - „რეგიონული ინიციატივების ცენტრი ნათელი მომავალის“ მიერ შესასრულებელი მოთხოვნები:

1. დანართი N1-ის 21-ე ველის 2.1.4 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ხარჯის ერთეულის ღირებულება დაკორექტირდეს ჯამური თანხისა და ერთეულის რაოდენობის შესაბამისად.
2. დანართი N1-ის 21-ე ველის 3.2 ქვეპუნქტით სწავლების ცენტრიდან მოთხოვნილი ხარჯის ოდენობა დაკორექტირდეს ერთეულის რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 5

წინააღმდეგი – 0

გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ორგანიზაციების დაფინანსება განხორციელდეს მათ მიერ საკონკურსო დოკუმენტაციაში ზემოაღნიშნული მოთხოვნების არაუგვიანეს 2015 წლის 14 სექტემბრისა შესრულების პირობით.

დათვლილი საშუალო შეფასების მიხედვით 70 ქულაზე ნაკლები საშუალო შეფასების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციას კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა დაფინანსებაზე:

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„ახალგაზრდა ადვოკატები“	„ყველა ხმა მომგებიანია”	66.60

კომისიის წევრებმა განიხილეს <u>მეორე მიმართულების თემატიკაზე</u> არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასების ფურცლები წარუდგინეს კომისიის სამდივნოს, რომელმაც შეფასების ფურცლების საფუძველზე დაითვალა თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის საკონკურსო დოკუმენტაციის მიერ მიღებული საშუალო შეფასება:

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის“	76.80
2	,,სოციალური დაცვის ლიგა“	,,საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში შშმ პირებისა და ეკომიგრანტების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა“	76.80
3	„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია “	„ჩვენი ქვეყანა-ჩვენი არჩევანი”	75.40
4	„ქალები მომავლისათვის“	„არჩევნები და საზოგადოება“	75.20
5	„საზოგადოებრივი დამცველი“	„პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის გაზრდა“	73.00
6	„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	„უსინათლოთა საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა“	71.40

7	”ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI”	„მონაწილეობა მნიშვნელოვანია - ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა არჩევნებში“	70.00
8	„საქართველოს რეფორმების ასოციაცია“	,,ეთნიკური უმცირესობები არჩევნების ხელშეწყობისთვის"	67.60
9	„ქალები სამართლიანობისთვის“	„ქალთა მონაწილეობა - დემოკრატიის გარანტი“	67.60
10	„ადამიანის უფლებათა ცენტრი“	„სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნების შესახებ ეთნიკური უმცირესობებისათვის“	55.60

,,გრანტის გაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დათვლილი საშუალო შეფასების მიხედვით კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები (70 ქულა და მეტი):

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელშეწყობა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობისათვის“	76.80
2	,,სოციალური დაცვის ლიგა“	,,საგარეჯოს საარჩევნო ოლქში 2015 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში შშმ პირებისა და ეკომიგრანტების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა“	76.80
3	„თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია “	„ჩვენი ქვეყანა-ჩვენი არჩევანი”	75.40
4	„ქალები მომავლისათვის“	„არჩევნები და საზოგადოება“	75.20
5	„საზოგადოებრივი დამცველი“	„პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში ეთნიკური უმცირესობებისის ინფორმირებულობის გაზრდა“	73.00
6	„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“	„უსინათლოთა საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობა“	71.40
7	”ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI”	„მონაწილეობა მნიშვნელოვანია - ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა არჩევნებში“	70.00

შენიშვნა:

სხდომის თავმჯდომარემ, გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციებიდან გარკვეული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება განხორციელდეს ამ ორგანიზაციების მიერ შემდეგი მოთხოვნების არაუგვიანეს 2015 წლის 14 სექტემბრისა შესრულების პირობით:

ა) ა(ა)იპ - „სოციალური დაცვის ლიგის“ მიერ შესასრულებელი მოთხოვნები:

1. დანართი N1-ის 21-ე ველის 2.4.1, 2.4.2 და 2.4.3 ქვეპუნქტებით მოთხოვნილი ჯამური თანხა დაკორექტირდეს ერთეულის რაოდენობისა და ერთეულის ღირებულების შესაბამისად;
2. დანართი N1-ის 21-ე ველის 3.2 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ხარჯის ერთეულის ღირებულება დაკორექტირდეს ჯამურად მოთხოვნილი თანხისა და ერთეულის რაოდენობის შესაბამისად.

ბ) ა(ა)იპ - „ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI“-ს მიერ შესასრულებელი მოთხოვნები:

1. დანართი N1-ის 21-ე ველის 1.1, 1.2 და 1.4 ქვეპუნქტებით მოთხოვნილი თანხა შემცირდეს და განისაზღვროს 1.5 თვის შესაბამისი ოდენობით.
2. დანართი N1-ის 21-ე ველის 4.5 ქვეპუნქტით მოთხოვნილი ხარჯი ამოღებული იქნას ბიუჯეტიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 5

წინააღმდეგი – 0

გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ორგანიზაციების დაფინანსება განხორციელდეს მათ მიერ საკონკურსო დოკუმენტაციაში ზემოაღნიშნული მოთხოვნების არაუგვიანეს 2015 წლის 14 სექტემბრისა შესრულების პირობით.

დათვლილი საშუალო შეფასების მიხედვით 70 ქულაზე ნაკლები საშუალო შეფასების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვათ დაფინანსებაზე:

№	პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია	წარმოდგენილი პროექტის დასახელება	საშუალო შეფასება
1	„საქართველოს რეფორმების ასოციაცია“	,,ეთნიკური უმცირესობები არჩევნების ხელშეწყობისთვის"	67.60
2	„ქალები სამართლიანობისთვის“	„ქალთა მონაწილეობა - დემოკრატიის გარანტი“	67.60
3	„ადამიანის უფლებათა ცენტრი“	„სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არჩევნების შესახებ ეთნიკური უმცირესობებისათვის“	55.60

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თინათინ ბოლქვაძე _____

კომისიის წევრები: დავით ღონღაძე _____

ანა ფაშალიშვილი _____

შორენა ღარიბაშვილი _____

ნინო ჯაფიაშვილი _____

ნინო დოლიძე _____

ნინო გოგოლაძე _____